



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

04/01/2017

N 1/ა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს,
მინისტრის პირველ მოადგილესა და მინისტრის მოადგილეებს შორის
საკურატორო სფეროების განაწილების, უფლებამოსილების განსაზღვრისა და
მონაცვლეობის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 დეკემბრის №594 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ტ“ და „ფ“ ქვეპუნქტების და მე-4, მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, **ზურაბ ალავიძის** უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს:

ა) **აპარატი (დეპარტამენტი)** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) **შიდა აუდიტის სამსახური** - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**;

დ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი**.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილის, **ირაკლი მატკავას** უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს:

ა) **ევროინტეგრაციის და რეფორმების ხელშეწყობის დეპარტამენტი** - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) ინფრასტრუქტურის პოლიტიკისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი;

დ) სამინისტროს მართვაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“;

ე) სამინისტროს მართვაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“;

ვ) სამინისტროს მართვაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“.

3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის, კახაბერ გულედანის უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს:

ა) რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

დ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ე) ეკონომიკური დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ვ) სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი.

4. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის, გალაქტიონ ბუაძის უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

5. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, კახაბერ გულედანმა უზრუნველყოს საპარლამენტო მდივნის ფუნქციის განხორციელება.

6. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს, კახაბერ გულედანს მიენიჭოს სამინისტროს სახელით გასაფორმებელ ყველა სახის ხელშეკრულებებზე (გარდა სამინისტროს სახელით გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებებისა) ხელმოწერის უფლებამოსილება.

7. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს, კახაბერ გულედანს მიენიჭოს სამინისტროს საჯარო მოსამსახურე(ებ)ზე გასაცემ მინდობილობაზე (საქართველოს საერთო სასამართლოებში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სხვა ორგანიზაციებში წარსადგენად) ხელმოწერის უფლებამოსილება.

12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ და მოადგილეებმა უზრუნველყონ მათ უშუალო საკურატორო სფეროებში განსაზღვრული სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს მართვაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

13. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, მინისტრის პირველ მოადგილესა და მინისტრის მოადგილეებს შორის საკურატორო სფეროების განაწილების, უფლებამოსილების განსაზღვრისა და მონაცვლეობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2016 წლის 5 დეკემბრის №113/ო ბრძანება.

14. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეებისთვის ამ ბრძანების გაცნობის უზრუნველყოფა.

15. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ ბრძანების გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.; №6).

ირაკლი მატკავა

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

